

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გოჩა ხოსიტაშვილის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

ჩემო ბოდბისხვევებო, მე მინდა თქვენს წინაშე წარვსდგე და არჩევნების შემდგომი პერიოდის ანგარიში ჩაგაბაროთ მასზე, რისი ვალდებულებაც თქვენ მე დამაკისრეთ.

ჩემი არჩევის დროს თქვენ კარგად გახსოვთ, ის დრო როდესაც მე, ბატონი გია პავლიაშვილი, გია ქავთარაძე და ვახტანგ გოზალიშვილი კარდაკარ დავდიოდით და დაპირებებს გაძლევდით. ეხლა ერთი წლის შემდეგ მე, როგორც თქვენი დუპუტატი, ვალდებული ვარ, რომ იმ საკითხებთან დაკავშირებით, რაც გვაწუხებს და აწუხებს ჩემს სოფელსა და ამომრჩეველს თქვენთან ერთად, თქვენი ჩართულობით გავიაროთ და ჩაგაბაროთ.

ამჟამად, როგორც იცით სოფელ ბოდბისხევში მიმდინარეობს მნიშვნელოვანი შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- ჯუგაანი-ბოდბისხევი-წნორის დამაკავშირებელი გზა;
- ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე გადასწვრივ 4 ქუჩის რეაბილიტაცია, გზის მოწყობა სანიაღვრეებით და სხვა ინფრასტრუქტურით, ასევე საგზაო ნიშნებით მონიშვნა;
- სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გასაკეთებელი პროექტების განსახორციელებლად გამოცხადებულია და პროცესშია ტენდერი, 20000 ლარის ნაცვლად დაემატა 9000 ლარი და ამ ეტაპზე შეადგენს 29000 ლარს, რის შემდეგაც ეს პროცესი იქნება შეუქცევადი და მომავალი წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნება სრული რეაბილიტაცია სოფლის განათების ყველა ქუჩაზე;
- რაც შეეხება სიღნაღი-ბოდბისხევი- მაჩხანის ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებას პროცესშია მოხრეშვა, მოსწორებულია გზის ის მონაკვეთი, რომელიც პირველ ეტაპს შეადგენს და ეს ეტაპი სიღნაღი-ბოდბისხევის მონაკვეთია.

აღნიშნული პროექტი შესაძლებლობას მისცემს ყველა ჩვენს თანასოფელს, რომ განავითაროს ტურიზმი ჩვენს რეგიონში. პროექტის განხორციელებაში დიდი წვლილი

მიუძღვის მერიის ჩართულობას, ბატონ მალხაზ ბეგიაშვილს, ასევე საკრებულოს ჩართულობით ბატონ დავით ჯანკაშვილს.

ჩვენ აქ ვართ, როგორც ბატონი გია ჰავლიაშვილი, ასევე გია ქავთარაძე პარტიული სიით დეპუტატები და მე მაჟორიტარი დეპუტატი, რომლებიც ყოველთვის ვიდგებით თქვენს გვერდით. ეს ჩვენი აღებული ვალდებულებაა და მე ვალდებული ვარ ყოველ წელს ანგარიში ჩავაბარო ჩემს სოფლის მოსახლეობას და ჩემს ამომრჩევებს. მათ გარდა იმათაც, ვინც მე არ მომცა ხმა. მე ვარ თქვენი ყველას ხმა საკრებულოში, თქვენი გაჭირვების თუ ლხინის გამზიარებელი და თანამდგომელი.

მინდა შევეხო სოციალურ თემას.

ჩვენ გვყავს რამოდენიმე ოჯახი, რომლებიც მოითხოვენ თანადგომას და დახმარებას. შეძლებისდაგვარად ვცდილობ ყველას დავეხმარო.

მიმდინარე წელს საცხოვრებელი ფართი გადავეცით ერთ მოსახლეს, რომელიც არის მრავალშვილიანი და სოციალურად დაუცველი. ასევე დავასაქმეთ სოციალურ დაუცველთა პროგრამაში და ამ ეტაპზე მათი მდგომარეობა სოციალური კუთხით დადებითად შეიცვალა, რაზეც ეს ოჯახი თვითონ ისაუბრებს.

(ზურას მინდა ვთხოვო სიტყვით გამოსვლა). რამოდენიმე ოჯახს, რომელთა ჩამოთვლას არ დავიწყებ ეტაპობრივად ვეხმარებით.

მე, როგორც საკრებულოს წევრი არჩეული ვარ სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიაში. დავესწარი კომისიის 5 სხდომას. ვარ ასევე ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის წევრი. საარჩევნო პერიოდში დავესწარი კომისიის 6 სხდომას. სხდომებზე გამოვდივარ სიტყვით და მხარს ვუჭერ ჩემთვის მისაღებ გადაწყვეტილებებს, ვმონაწილეობ აგრეთვე საკრებულოს მუშაობაში. დასწრებული ვარ 13 სხდომას.

ამჟამად ვმუშაობთ სოფელ ბოდბისხევის დამისამართებული ქუჩების სახელდების საკითხზე, რაზედაც გადაწყვეტილება თქვენი ჩართულობით იქნება მიღებული.

კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას გამოცხადებული ნდობისთვის, დარჩენილ საარჩევნო სამ წელს თქვენი თანადგომითა და ჩართულობით შევძლებთ სოფლის პრობლემური საკითხების გაუმჯობესებას.

გოჩა ხოსიტაშვილი